ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1501380

ნომერი: AR1249966

თარიღი : 10.09.2014

გაცემის თარიღი : 01.10.2014

გაცნობის თარიღი : 01.10.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის IV მ/რ ; ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის IV მ/რ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან ყურაშვილი პ/ნ 01010019492
- საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ნუცუბიძის II მ/რ, I კვ., კორპ. 3ა

ორგანიზაცია:

- შპს იმედი 95 კოდი: 204856012

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 10 მარტის #01/441 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2014 წლის 10 სექტემბრის #AR1249966 განცხადებით მომართა შპს „იმედი–95“–ის დირექტორმა ლევან ყურაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2011 წლის 10 მარტის #01/441 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 2011 წლის 10 მარტის #01/441 ბრძანებით ქ. თბილისში, (სექტორი ვაკე), ნუცუბიძის IV მ/რ–ში, შპს „იმედი–95“–ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალფუნქციური საზოგადოებრივი შენობა–ნაგებობის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა, რომლის ვადა განისაზღვრა 2011 წლის 17 მარტიდან 2012 წლის 17 იანვრის ჩათვლით. დღეისათვის, ნებართვის ნაწილში, აქტი ძალადაკარგულია.

განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2011 წლის 10 მარტის #01/441 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებას, ვინაიდან მას აღარ აქვს ინტერესი აწარმოოს სამშენებლო სამუშაოები აღნიშნული ინდივიდუალურ–ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე. ამასთან, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ იქნა სამშენებლო ობიექტზე არსებული მდგომარეობის ამსახველი ფოტოსურათები, რომელთა შესაბამისად, სამსახურისთვის ცნობილი გახდა, რომ მიწის ნაკვეთზე არ არის ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოები. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით და ვინაიდან, მესაკუთრეს აღარ გააჩნია სამსახურის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის საფუძველზე საპროექტო ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლისა და “ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-7 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის თანახმად,

ვბრძანებ:

1.ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 10 მარტის #01/441 ბრძანება არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ნაწილში.

2.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის:შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
